

645  
1989/2



ISSN 0881-1500

# საქართველოს კულტურა



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უფელთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.



«САКАРТВЕЛОС КАЛИ»  
(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი  
მარიკა  
ბარათაშვილი



Главный редактор  
МАРИКА  
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი გუგუნიძე, ნონა ზაფრიანაშვილი, ნაზი თარგამაძე, ლია ქაბახაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზინიანი ქაბახაძე, ნაზი კილასონია, თემარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთაძე, ნინო შვანიძე, ცინარა ტარეშაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია ზალუტაშვილი, ლუბა შაფირული, ირმა ჩოვბაგაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ეთერ ჯაფარიძე.

ტექნედაქტორი ნანული გუკია

ბარათაშვილის პირველი გვერდზე — გუჩა კვარაცხელიანი; მეორეზე — თეიმურაზ ქართველიშვილის კალაპატი.

საბარტველოს კვ ცკ-ის გამომცემლოგა

შრომის წითელი დროშის ორდენისანი საქ. კვ ცკ-ის გამომცემლოგის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография  
издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина 14.  
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина 14.



დ. იაკობაშვილის ფოტოები

# მშობი



ირკის არენაზე თავდავიწყებამდე მისული მასხარა დარბის. უწყესრიგოდ მოწყობილ გრძელ მერხებზე ბაფთიანი გოგონები და წითელყელსახვევიანი ბიჭები სხედან. ყველას ყურებამდე მორღვევია პირი და გულიანად იციან...

შუაში ვანიერი შენობა დგას. ცალი მხარე დაწეული და რამდენიმე ფანჯარა ზომავზე დიდი აქვს. გარშემო წვრილი ყვავილები და ტოტებავაშლილი ხეები ჩამწკრივებულან. ზედა, მარჯვენა კუთხის კიდურიდან თვალეზიანი მზე იყურება... „ნინიკო, სამი წლის“, „ზაზა, ოთხ წლის“...

კედელს თითქოს სიყვარულით გულზე მიუტრავს ეს ნახატები და თავადაც გულიანად იციან... იცი-

ნის მთელი სახლი, მათი დიდი და  
ლამაზი სახლი...

ის სულ ახლახანს, დეკემბერში  
გაიხსნა. არქიტექტორ გივი ლეჭვი-  
ნაძეს ბავშვებით ფანტაზია ჰქონია.  
ფანჯრებით კი სათამაშოებს ჰგავს:  
არასტანდარტული და არასიმეტ-  
რიული, ბავაბალისათვის ცოტა  
უჩვეულო, ეს ორსართულიანი შე-  
ნობა თავადაც დიდი სათამაშოა  
თითქოს, ლამაზი ფერებით მორთუ-  
ლი. თუ შეუგულიდან ახედავ კერს,  
თავს ზემოთ დღის სინათლე ჩამო-  
გენტება, გამკვირვალე მინაზე არე-

საკუთრებით საინტერესო აღმოჩნ-  
და მათთვის. თითოეულ მათგანს  
გორგოლაკებიანი ფეხები აქვს და  
იკეცება და იშლებია. თამაშის დროს  
ისინი, ერთმანეთზე დაწყობილი,  
კარადებოვით დგას, ხოლო როცა  
ძილის დროა, მასწავლებელი სულ  
ქვედას ხელით გამოწვეს და საწო-  
ლებიც კიბის საფეხურებით იშ-  
ლებია. ეს ადგილის ეკონომიის ჰქმნის  
და ერთ ოთახში პატარებიც თავი-  
სუფლად ახერხებენ სადილობას,  
თამაშს, ძილს. ხოლო მამინ, როცა  
ცურვის გაკეთებები აქვთ, საცუ-



# მშენებელი სწავლი

ლილი მზის სხივები სხვადასხვაფ-  
რად შედგებილ თაღებზე თამაშობენ  
და იქ მყოფთაც სათამაშოდ უხმო-  
ბენ. მეჩუქოთნის ყვავილები და  
თაროებზე ჩამწკრივებული თოჯი-  
ნებიც ემბებიან ამ საზეიმო ფერ-  
ხულში და...

„დღეს თინიკოს დღეობაა, ხაჭაბუ-  
ჩი ცხებოლა“...

აქაც ყველაფერი ისეა, როგორც  
ყველგან, სადაც ბავშვია, თანაც ამ-  
დენი ბავშვი, ოღონდ...

ის ახალია, 95-ე საბავშვო ბავა-  
ბლი ჰქვია და მეჩინოკის ქუჩაზე  
მდებარეობს. ამჟამად ოთხი ჯგუფი  
ფუნქციონირებს: ერთი ბავის 2-3  
წლის პატარებისათვის, ხოლო და-  
ნარჩენი — შედარებით მოზრდილე-  
ბისათვის, ექვსი წლის ასაკამდე.  
საერთოდ კი შენობა რვა ჯგუფის-  
თვის არის გათვალისწინებული. ამას  
წინათ თბილისის ცენტრალურმა  
უნივერსიტეტმა მას ყველანაირი ინ-  
ვენტარი გამოუყო: საწოლები, კა-  
რადები, მაგიდები, სკამები და, რა-  
ღა თქმა უნდა, სათამაშოები.

ბავშვებს ხომ ყველაფერი იზი-  
დავთ, რაც ახალი და ლამაზია, მაგ-  
რამ ეს უცნაური საწოლები გან-

რაო კოსტიუმებში გამოწყობილი  
თავიანთ პატარა აუზში ეშვებიან.  
აუზი შიგვე, პირველ სართულზე  
მდებარეობს და უზრუნველყოფი-  
ლია წყლისა და ჰაერის ტემპერა-  
ტურით. ეს ლამაზი საცურაო აუზიც  
არანაკლებ ახარებს მათ.

აუზის მოპირდაპირე მხარეს კი-  
დედ უფრო კარგი გასართობი ელო-  
დებათ. ასეთი დიდი და მოხდენილი  
საცეკაო და სიმღერის დარბაზი  
ყველას როდი ექნება. შემადლებულ  
სცენაზე როიალი დგას, მაყურებ-  
ლისათვის კი დიდი წესრიგით ჩუ-  
რიგებით პატარა სკამები.

აქვეა ექიმის ოთახი, სადაც, თუ-  
კი დასჭირდებთ, სიცხეს გაუზომა-  
ვენ პატარებს, ხოლო მათთვის, ვი-  
საც გადამღები ავადმყოფობა აღ-  
მოაჩნდება, იზოლირებული ოთახია  
გამოყოფილი.

მეორე სართულზე, სადაც ჯგუფის  
ოთახებია, კიბეებით ადიან ბავშვე-  
ბი. კიბეებს დაბალი საფეხურები  
და სახელურები აქვს, თანაც ლამა-  
ზი ფერებით შეღებული.

შენობის კედლების დიდი ნაწილი  
შემინულია, ამიტომ ბალი საკმაოდ  
ნათელია. ბავშვები უმეტესად დღის



# მეცნიერი.

სინათლეზე ითამაშებენ. თუმცა, როცა მზე ძალუმად დააჭერს და თან შეცივებულ გაზაფხულსაც გაათბობს, გარეთაც გამოისიერებენ. მართალია ბაგა-ბაღის დირექტორი ვაჟა ავალიშვილი ძალიან წუხს, პატარა ეზო გვაქვსო, მაგრამ ამ ეზოშიც საკმაოდ ბევრი სათამაშო თუ სასარბლო ეტევა. ამიტომ მოწყვნილები არც აქ იქნებიან.

ალბათ, გაგივირღებთ, რომ ბაღის დირექტორი მამაკაცია, მაგრამ ეს მეორე შემთხვევაა ჩვენს ქალაქში და არც ისე უშუდეგო. ბატონ ვაჟას უკვე 31 წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟი აქვს.

არქიტექტორსა და მშენებლებს, ქალაქის მე-13 სამშენებლო ტრესტის მე-4 სამშენებლო სამმართველოს მუშებს მხედველობიდან არ გამოორჩენიათ შენობის დანიშნულება და სპეციფიკა, იგი ნათელი და ფართოა. შიდა ინტერიერის სირთულით იმდენად არ არის გადატვირთული და ამიტომ სივრცე მეტია, რაც ასე სჭირდებათ ბავშვებს. თუმცა ერთი შეხედვით შენობა გარედან ასეთ შთაბეჭდილებას არც ტოვებს. ქუჩის მხრიდან რამდენიმე საფეხურიანი კიბე ადის, წინ დეკორატიული შადრევანი და პატარა აუზია, ხოლო ზემოთ, მეორე სართლის ქვის მოაჯირს ბოლომდე ყვავილები გასდევს. ფასადი ძალიან თავისებურია, ორიგინალური. სივრცე და ტევადობა შიგნით უფრო იგრძნობა. ვრცელი, შუქიანი ვესტიბიული, სადაც ბავშვების წასაყვანად მოსული მშობლები მოიცილიან, მაშინვე მიგახვედრებთ, რომ აქ პატარებს დაუღიათ ბინა. ვესტიბიულში სახალწლოდ ნაძვის ხე დადგეს. და მის გარშემო საზეიმო ფერხული გამართეს, იყო სიცილი, ციკვა...

იყო ბევრი სათამაშო და საჩუქარი...

და, რაც მთავარია, იქნებიან თბილი და მზრუნველი ძიძვები, მასწავლებლები...

და ეს განდება პატარებისათვის დიდი და ლამაზი სახლი...



# ეკონომიკა

ცნობილი ფიზიკოსი მაქს პლანკი ჯერ ეკონომისტის სპეციალობას ეუფლებოდა და შემდეგ გახდა ფიზიკოსი. ეს ფაქტი მან ასე ახსნა: „ეკონომისტის ვერ გამოვიღობი, რადგან იგი ჩემთვის ურთულესი მეცნიერებაა“. მართლაც, ესაა მეცნიერება, რომელსაც მაღალი ინტელექტუალური პარამეტრებით შერჩეული კადრები სჭირდება. სამწუხაროდ, ჩვენთან წლების მანძილზე ეკონომისტის საფუძვლიანი, კომპეტენტური მოსახრებანი უშუალებულოფილი იყო. მას ფუნქცია დაუკარგეს. ოჯახის ბიუჯეტიდან დაწყებული, რესპუბლიკის და საერთოდ, მთლიანად ჩვენი ქვეყნის გლობალური ეკონომიკური პრობლემებით დამთავრებული. ყოველი ჩავარდნა ეკონომისტის დაბალდონზე მიეწერება. რამ განაპირობა ეკონომისტის შესახებ ასეთი აზრი? მიზეზი უამრავია, მაგრამ უმთავრესი კი ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას არასპეციალისტები ბრძალ წარმართავდნენ. დღესაც გამოინაკლიხი როდია, როცა დიდ საწარმოს და მის ეკონომიკას უძღვედნის ინტორის კლინი, მეტალურგი, კომკავშირის ლიდერი. აქ უნდა გავიხსენოთ აწ განსვენებული აკადემიკოსის პაატა გუგუშვილის ნათქვამი: ფესხამელი მეწაღემ უნდა შეეკრის, ქელი — მექუღამო. პროფესიონალიზმის უგულვებელყოფამ გააუფასურა ეკონომისტის პრესტიჟი. ეკონომისტის როლის დაჩენიებაში ბრალი ჩვენს ეკონომიკურ სკოლასაც მიუძღვის. რატომ? პრაქტიკისაგან მოწყვეტილი ეკონომისტები ეცადენ საქონელწარმოება ემართათ არა წარმოებისათვის დამახასიათებელი კანონებით, არამედ ლოზუნგებით, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი თეორიებით.

დღეს ეკონომისტს — მეცნიერს თუ პრაქტიკოსს დიდი მისია დაე-

კისრა. საზოგადოების ასეთი ყურადღება ამ სპეციალობისადმი და თანაც ასეთი საყვედური მათ მიმართ ინტორიას არ ახსოვს. ამ მილის სიძიმში თბილისი პასუხისმგებლობით ივრძნო მთილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის გამგემ, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა მედეა გოცირიძემ. აირჩია ეს სპეციალობა მაშინ, როცა ეკონომიკურ მეცნიერებას შორის მეცნიერებად თვლიდნენ და პოეზიაზე, ხელოვნებაზე შეყვარებულ გოგონას პირველ ხანებში გაუჭირდა კიდევ უნივერსიტეტის წარმატებით დაამთავრა და ასპირანტურაში დატოვეს. მეცნიერულ ხელმძღვანელობას ცნობილი ქართველი სწავლული ეკონომისტები კოკი გაბუჩია, ირაკლი მიქელიძე, ვალერიან მელქაძე უწევდნენ. მედეა საკუთარი თავისდმი დიდი მომთხოვნეობით, რულუნებით მუშაობდა საკვლე თემაზე, თან უნივერსიტეტში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. მუყაითობით, შრომისმოყვარეობით ხარისხის მოპოვება დაიქაჩა ეკონომიკურ მეცნიერებაში. მეცნიერება და პრაქტიკა ერთმანეთისაგან არასდროს გაუცალკევებია, ყოველთვის ცილიობდა მეცნიერული ნააზრები პრაქტიკულად დანერგილიყო, მაგრამ, როცა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის გამგედ აირჩიეს, პასუხისმგებლობის გრძობა უფრო გაუძლიერდა.

— დღეს, გარდაქმნის ხანაში, ყველაფრის რადიკალურად შეცვლა საჭიროა, ჯერ ჩვენმა ეკონომისტებმა უნდა ვისწავლოთ როგორ ემართათ სახალხო მეურნეობის რთული მექანიზმი, რომ შემდეგ ახალგაზრდა თაობას ვასწავლოთ ეკონომიკის სწორად წარმართვა, —

თქვა მედეა გოცირიძემ. იგი ღრმად რწმენით აღნიშნავს, რომ ეკონომიკის აღმავლობაში წარმოების მაღალი კულტურა და პროფესიონალიზმი ის საყრდენი წერტილია, რომელზე დაყრდნობითაც შევძლებთ მთელი ქვეყნის, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სასიკეთოდ შემოტრიალებას. მთელი მისი საქმიანობა მან სწორედ აქეთკენ წარმართა, იგი მთელი ძალისხმევით ცდილობს მისმა აღზრდილებმა ირწმუნონ პროფესიონალიზმის ძალა ეკონომიკის გარდაქმნაში.

მეცნიერ ეკონომისტს რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

— კათედრის ხელმძღვანელად არჩევიას უპირველესად რა ამოცანები დასვა წინა წლებისაგან განსხვავებით? როცა ჩვენი რესპუბლიკის თვითღვინებისა და სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის საკითხი დისკუსია, ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად პრაქტიკოსმა ეკონომისტმა თქვენი კითხვა მიიჩნია. ძალბოთ უნა რა ოცენი კათედრის მეცნიერებს დასაბუთებული პასუხი გასცემს ამ აქტუალურ პრობლემებს და შესაბამისად მომავალი სპეციალისტების აღზრდის თანამედროვე მოთხოვნებს?

— პირველი, რაც გვაჯავთ, იყო ის, რომ კათედრისთან შევემნით ელემენტარულად მოთვლილი ლაბორატორია. მთელი პრაქტიკული მეცნიერება ყველა დისციპლინაში მიმდინარეობს მანქანებზე. ჩვენმა მეცნიერებმა შემოღობისდაგარდა გავაღრმავეთ, განამატეთ კავშირი საწარმოებთან, შევემნით საბაზო კათედრები, შეძლებისდაგვარად იმტომ ვამბობ, რომ სტრუქტურაში ისევ არსებობს. ეკონომისტის დაყარული პრესტიჟის აღდგენას ჯერ კიდევ დიდი დრო სჭირდება. თორია და პრაქტიკა წლების მანძილზე დაშორებული იყო. პატრის სახლობის ელემტარულ-შემდგენელ მოწყობილობათა ქარხანასთან წლების მანძილზე უთანამშრომლობდა, მაგრამ ახლანდელი ჩვენი ურთიერთკავშირი განსხვავებულია. ჩვენ ამ ბოლო ხანს დიდი პრაქტიკული სამუშაო გაქსწით. გავაანალიზეთ საწარმოს ეკონომიკური მაგნიტუბები, დაგახსენ მისი განვითარების პროგნოზები. ქარხნის ეკონომიკური სასასტური ძირითადი ჩვენი სპეციალობის კურსდამთავრებულებით დავკომპლექტდა. შედეგი უკვე გამოიკვთა.

საქ. სსრ კ. პარტიის  
საქ. საბ. რესპუბ.  
ბიბლიოტეკა

ქარხანა ერთ-ერთი პირველი საწარმოა, რომელიც მუშაობს სამეურნეო ანგარიშის პრინციპებზე. ე. ი. ყველა წინაპირობა შექმნილი სრულყოფილად გადავიდნენ თვითდამფინანსებაზე. ამ საწარმოს საქმიანობის განზოგადების საშუალებაც შეიქმნა.

კათედრის მეცნიერების დიდმა ნაწილმა გადაწყვიტა კვლევითი სამუშაოები გასწიონ ჭრე ცალკეული საწარმოების, შემდგომ მთლიანად რესპუბლიკის თვითდამფინანსებისა და სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებზე. აქ აჩქარება, ემოცია დაღმევილია. ამ საქმის დიდი რულდენებით მოეკიდნენ, რადგან ეს არა მარტო ეკონომიკის ოპტიმალური ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა, არამედ დიდი ეროვნული საქმეც არის.

— როგორც მეცნიერს და ეკონომისტს როგორ გეხებათ საქართველოს ხახლხო

მეურნეობის, ეკონომიკის განვითარების გზები?

— უპირველეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ის დარგები, რომლებიც ყველაზე მეტად რენტაბელური და მომგებიანია საქართველოსთვის, შემდეგ ყველა დანარჩენი მოემსახუროს ამ რენტაბელურ დარგებს. ჩვენი რესპუბლიკა სამხრეთული კულტურების მწარმოებელია, ამიტომ დასაკვიდრებელია ამ კულტურების წარმოების ინდუსტრილიზაცია, ე. ი. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისი მანქანათმშენებლობის განვითარება. ყურადღება უნდა გამახვილდეს მცირეგაბარიტის მანქანების წარმოებაზე, მაგრამ, რასაკვირველია, ეს მანქანები უნდა იყოს მაღალხარისხისა, მსოფლიო სტანდარტებს შესაბამისი. საერთოდ, ყველგან და ყველავლერხი მშობლოდ უმჯობეს ხარისხის დამკვიდრება აუცილებელი. უნიკალური

მანდელის საბადოებში წიაღისეულის მოპოვება ოპტიმალურად უნდა განხორციელდეს და, რაც მოვაია, მტკიცედ დამკვიდრდეს უნარჩუნო წარმოება. ისინი უნდა უზრუნველყოთ უახლესი ტექნიკის და ტექნოლოგიის მწარმოებელი დარგებით. უნიკალური წიაღისეულის დაზოგვის ტექნოლოგია იმდენად ჩამორჩენილია, როგორც წიაღისეულის ერთი მესამედი საბოლოო პროდუქციის მიღებამდე იკარგება. და თუ ჩვენ ვერ დაიწვრთავთ მორეზვი ტექნიკისა და ტექნოლოგიის და მრეწველობის ყველა დარგის განვითარება ამის უზრუნველყოფად არ იქნება მიმართული, მსოფლიო ბაზარზე ვერ გავალთ, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის დონედ დაბალი გვექნება. საქართველოს დარგობრივი სტრუქტურის პროგნოზიც აქეთ უნდა იყოს მიმართული. უნდა განვითარდეს საკურორტო მეურნეობის ინდუსტრილიზაციის შესაბამისი დარ-



# „ნებაში“

ოდითგანვე თავისი ერის მცირერიცხოვანმა სტიკიდა ქართველ ვაცს. ამიტომაც უთქვამს: „ერთი შვილი — არა შვილი, ორი შვილი — ვითომ შვილი, სამი შვილი კიდევ შვილი, ოთხი შვილი — მართლა შვილი!“

დღესდღეობით განსაკუთრებით ბევრს დაპარაკობენ ამ პრობლემის შესახებ, ეძებენ მდგომარეობის გამოსწორების გზებსა და საშუალებებს, მაგრამ ყველა საშუალება უძღური იქნება, სანამ თითოეული ჩვენთაგანი არ შეივნებს, რომ ერის გამარჯვლება უცილობელი და საშური საქმეა.

რუსთაველის საზოგადოებასთან შეიქმნა დემოგრაფიული ფონდი, რომელსაც ხელმძღვანელობს ხუთი შვილის მამა, ცნობილი ენათმეცნიერი, პროფესორი გუჩუა კვარაცხელია.

ჩვენ შევხვდით ქალბატონ გუჩას და რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

— ალბათ, გალაკტიკებულად შეიძლება ითქვას, რომ დემოგრაფიული ფონდის შექმნამ დიდი იმედი და სიხარული მოუტანა ყველა ქართველს. მართალია, ფონდი სულ ახლახან შეიქმნა და ჯერ კონკრეტულად რამის თქმა ნადარევია, მაგრამ მკითხველისათვის მაინც საინტერესო იქნება თქვენი მოსაზრება ამ ფონდის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

— დემოგრაფიული პრობლემებით ჩვენი საზოგადოება ადრეც იყო და-

ინტერესებული. ქართველი ყოველთვის თავისი ერის ხომცირებს შისიბიროდა. დროთა განმავლობაში მიჯარაცია და ურბანიზაციასთან დაკავშირებულმა ურთულესმა დემოგრაფიულმა მოვლენებმაც იჩინა თავი, ამ პრობლემას დეფს უფრო მწვავე ხასიათი აქვს. დადგა დრო, როცა დაუფარავლად შეიძლება ერის ხაწუხარზე დაპარაკაი.

უკვე შრავალმა საწარმო-დაწეხებულებამ თუ კერძო პირმა გამოთქვა სურვილი შეეწიოს დემოგრაფიულ ფონდს. იმედი, ფონდი მალე მოიკრება ძალას და ჩვენი ერის ხაწასხურში ჩადგება.

უპირველეს ყოვლისა, ფონდის შრავარი ამოცანაა დაეხმაროს შრავალშვილიან და ახალგაზრდულ ოჯახებს, მაგრამ ეს დახმარება მარტო ფულადი როდი იქნება. ჩვენი ხაწუხარის ოცნებაა ახალდაქორწინებულთათვის ბინების გაცემის უფლებების მოპოვება.

— ქალბატონო გუჩა, ჩვენში ამ ბოლო ხანს თავი იჩინა კიდევ ერთმა რთულმა და საკმაოდ დამფიქრებელმა პრობლემამ, რომელსაც მარტოხელა დედობა ჰქვია. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხზე და დემოგრაფიულ ფონდს აქვს თუ არა გათვალისწინებული მითთვის დახმარების წაწევა?

— უნდა ითქვას, რომ მარტო-



გებიც. მე ასე მემისი ჩვენს რესპუბლიკაში ინფსტრუქციის დონის ამაღლება და არა იმგვარად, რომ აწინდეს დიდი გიგანტური ქარხნები, რომლის პროდუქციის 99 პროცენტს რესპუბლიკის გარეთ ვაყვ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგებში ხელთ შრომის ხვედრითი წილი მაღალია. ათეული წლების მანძილზე ვერ შეგვეცალეთ ეს მდგომარეობა უკეთესობისაკენ. სწორედ ამან განაპირობა მუშახელის სხვა რეაგინებიდან შემოყვანა. ჩემი ღმა რწმენით ჩვენი რესპუბლიკის ინფსტრუქციის კონცეფცია სერიოზულად გადისინჯავს მოითხოვს ჩვენ ბევრს ეკამათობს სათბობენგრეტკული რესურსების განმტკიცების მიზნით ახალი მიმდებარების აშენების თაობაზე. მე ვივლი, რომ რაც გვაქვს, თუ იმას მომჭირნავ, ყაბრითანად, ოპტიმალურად მოვიზიარო, ამ პრობლემაზე კამათიც არ მოგიწევს. მთავარია, რაც გვაქვს, ის არ გავფანჯვო,

პირიქით, დოვლათს დოვლათი უნდა შევამტო, ამისთვის აუცილებელია მუყაითი შრომა, ყველამ თავისი საქმე კეთილსინდისურად აკეთოს.

— თქვენ კათოდრის გამგეობასთან ერთად დიდი მზია გაქსრიათ, ხართ ეკონომიკური ფაუტურების ამიერკავასიის რეგიონული სამეცნიერო საბჭოს წარდგული მდივანიც, ე. ი. თქვენ ხმა უნდა მისცეთ მეცნიერებათვის ხარისხის მინიჭებას. ვაამტრეთ თუ არა მოთხოვნები, ვერ დავმალეთ და ხარისხის მინიჭების საკითხი ერთგვარად გაუფასურდა.

— დღეს უფლება არა გვაქვს ამ დიდ საქმეში ლიალობა დავუშვათ. ამ სფეროში დამოუკიდებელი მომავალს ვაგვიჩინებებს. ჩვენე ჩაგვეცემს ლხავარს.

კითხვები არ ილიოდა, პასუხიც არ ყოვნიდებოდა, უყვარს მელდა გოცირიძეს თავისი პრეზენტაცია. ივა

დარწმუნებულია, რომ დღეს უნდა გორც არასდროს, ეკონომისტის კომპენტენტურობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, ამიტომაც გამძღმეობით სწავლობს, იკვლევს მოწინავე შეყვნების ეკონომისტთა ნაახრებს.

ოჯახიც თავისას მოითხოვს, არც მას აკლებს თავის ხელს. უკვე მობიაც არის. პატარა ელენეს არ აღარ დიდებს ბებია დტვირთულია თუ არა დიდი საზოგადოებრივი საქმიანობით. თავისი პაუფასა ხელებით ეფერება და მელდასაც ესხნება დღელილობა — გონებრივი თუ ფიზიკური.

**რუსუდან ბრიგოლია**

# „სვილთა მრავალთა“

ხელა დეგების პრობლემა ჩვენში იხე მწვავედ არ დგას, როგორც სხვაგან, საზავიგროდ ამ საკითხს ჩვენმა მტად მტკივნეული პრობლემა იხე ახლავს. საქმე ის არის, რომ ჩვენი ხალხი, ტრადიციული შეხედულებების გამო, ძნელად ეკუთვნება ამ მოვლენას და არაერთგვაროვან შეფასებებს აძლევს მას. ახეთ ვითარებაში პირადად მე დიდ გმირობად მიმჩანია მარტოხელა დედობის უღელის ტარება. ახეთ დედები, რა თქმა უნდა, დიდი წინვაობივი თუ მატრიალური მხარდაჭერა სჭირდებოთ, რასაც ფონდი უთუოდ გაითვალისწინებს.

— ხშირად ვაიგონებთ აღმუთებებს იმის გამო, რომ ჩვენში ძალზე გართულებულია ბავშვის შვილი დედა აყვანა. რადიანები წვლით დგანან არც იში, რადგანაც საქმეს ართულებს ბიოლოგიკრიული მექანიზმი, ის უფრო მეტიც — ანგარება. თქვენი აზრით რითი შეიძლება ეშველოს ამ საქმეს?

— შვილად აყვანა დიდად კეთილშობილური საქმეა. მეც ვამიგია, რომ ეს საკითხი ბევრ ხელოვნურ დაბრკოლებასთან არის დაკავშირებული და მავანს ვუღებს უტრულებს ამ კეთილშობილურ განკარგავსაზე... არადა ორივე მხარეს: ბავშვსაც და დედობის მსურველსაც ძალიან სჭირდება ერთმანეთი. ამ საკითხზე

დირს დავიჭრება. ალბათ, დემოგრაფიული ფონდი აქაც იტყვის თავის პირუთვნელ სიტყვას.

—სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ თბილისში უამრავი დაუოჯახებელი ქალ-ვაიე ცხოვრობს ასახელებენ ამის მრავალ მიზეზს, თითქოს ტარდება კიდევ ღონისძიებები ამ საკითხის მოსაგვარებლად, მაგრამ ჭრჭრებობით ყინული ვერ გალდვა. მიაგლითად, ურთიერთგაცნობის კლუბმა თუ „სნობის ფურცელში“ გამოცხადებულმა მცირეოდენმა განცხადებებმა ოჯახის შექმნის შესახებ საქმეს ვერ უშვია... თქვენ რა აზრისა ბრძანდებით ამ საკითხზე?

— რა თქმა უნდა, ამის შესახებ, სოცილოგები ბევრ მიზეზს ასახელებენ. მაგრამ ერთ-ერთ მიზეზად მე ის მიმჩანია, რომ შვილებს არ ვზრდით მოშობლად, მეუღლეებმა, დაოჯახებას იხე ართულებს, რომ ახალგაზრდა მშ-მწ წვლიმდე სწავლობს, ბევრი კი თავს არიდებს იმ სიძინელებს, რაც თან სდევს ოჯახსა და სწავლას ერთად. დაოჯახების პრობლემა არა მარტო ინდივიდუალური, არამედ საზოგადოებრივი საკითხია, ამიტომ მასზე ყველამ უნდა ვისრუდობ... — ქალები ხშირად წუწუნებენ იმის გამო, რომ ძალზე ძნელია, ხშირად შეუძლებელიც კი, ოჯახისა

და მეცნიერული მუშაობის თუ საზოგადოებრივი საქმიანობის შეთავსება. სამწუხაროდ, ხშირად ერთ-ერთს თმობენ. ალბათ ამიტომაც გავრცელდა ასე მეცნიერი თუ მოღვაწე ქალების სტერეოტიპი. თქვენი მიაგალითად შეიძლება სრულიად საინისპირო იქნას. საინტერესოა, როგორ ახერხებთ ამ ორი დიდი მივალეობის შეთავსებას?

— ამას ხშირად მეკითხებიან, მაგრამ არ ვიცი, ვთავაზებ კი? დროის მომჭირნეობის მეთოდურ ახალგაზრდობიდანვე შევიმუშავე — ყოველგვარ სიტუაციაში შემოძლია ინტენსიური ფიქრი...

შეუძლებელი და შეუთავსებელი ალბათ არაფერია, მთავარია სურვილი, მონდობა და სყვარული. მამ ასე, შეიქმნა დემოგრაფიული ფონდი. გაკეთდა კიდევ ერთი დიდი ურთული საქმე. იმედია საზოგადოება ზრუნავს და შეწეობას არ მოაკლებს მას, ხოლო დემოგრაფიული ფონდი კი მალე განდგება მრავალი საშვილიშვილი საქმის ორგანიზატორი.

დემოგრაფიული პრობლემა თითოეული ჩვენთავანისათვის დიდილი საქმეა და ყველა ახალგაზრდას უნდა ახსოვდეს, რომ მრავალი შვილი საქართველოს უწყვეტება, საქართველოს მომავალი მდივრება, მისი ღამაში ხვალინდელი დედა.

ესაუბრა ირინეა ქუპაძე

# გულოცავთ!



ჩვენი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს ნათელა შალვას ასულ ვახაძეს, საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს, რომელსაც ყოველთვის პასუხსაგებ პოსტებზე უხდებოდა მუშაობა და პირნათლად ემსახურება ქვეყანას, ხალხს.

ნათელა შალვას ასული ამჟამად ერთ-ერთ საპატიო და დიდ მოვალეობას ასრულებს სახალხო განათლების გარდაქმნისა და სრულყოფის საქმეში.

ამ ცოტა ხნის წინათ იგი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პედაგოგიის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს.

გულოცავთ პატივცემულ ნათელა ვახაძეს ამ მაღალ და საპატიო წოდებას!

## სარგამართო ნომრის სტუმარია გამყრელიძეების ოჯახი

# „ლაგაზად შვილის აღზრდელი“ ...

საქართველოს მრავალი შვილი სჭირდება! მაგრამ განათლებული, საქვეყნოდ აღიარებული ერთი შვილიც კი გვევაიმება, თუ ის შორს გაიტანს ჩვენი პატარა სამშობლოს სახელს. ასეთ დედას მცირე-შვილიანი არ ეთქმის.

რედაქცია იწყებს წერილების ციკლის ბეჭდვას ცნობილი ადამიანების მშობლებზე, განსაკუთრებით კი დედებზე. ჟურნალის ამ ნომერში ვაქვეყნებთ სტატიას ძმების — აკადემიკოსების რევაზ და თამაზ გამყრელიძეების ოჯახზე.



**ქ**

ართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში სიამაყით ვკითხულობთ:

რევაზ ვალერიანის ძე გამყრელიძე — ქართველი საბჭოთა მათემატიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ლენინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, სკკპ წევ-

რი, დამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი 1953 წლიდან მუშაობს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტში. 1961 წლიდან საკავშირო რეფერატული ჟურნალის „მათემატიკის“ მთავარი რედაქტორია.

მისი ძირითადი შრომები ეხება ტოპოლოგიას, დიფერენციულ განტოლებათა თეორიას, ავტომატური მართვის თეო-

ქალბატონი ოლიმპიადა





რისა და ოპტიმალური პროცესების თეორიას.

რევა გამყრელიძემ გამოთვალა კომპლექსურ ალგებრულ შრავლასახეობაა მახასიათებელი უცვლელი, აკაო წრფივი ოპტიმიზირების სისტემის თეორია.

იგი არის ავტორი მთელი რიგი კაპიტალური შრომებისა ქართულ, რუსულ და რამდენიმე უცხო ენაზე.

თამაზ ვალერიანის ძე გამყრელიძე — საბჭოთა ენამეცნიერი, საქართველოსა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ამერიკის ლინგვისტიკური საზოგადოების საბჭოთა წევრი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ფილოლოგიის განყოფილება, სემიტიკოლოგიის სპეციალიზაციით.

სამეცნიერო პედაგოგიურ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასა (ჟაგა. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორია) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სტრუქტურული და ენოყვანილობის ლინგვისტიკის კათედრის გამგეა). იკვლევს ძველი აღმოსავლური, ინდოევროპული, სემიტური და ქართველური ენების სტრუქტურასა და თეორიული ენათმეცნიერების საკითხებს.

შეიღობის წარმტყობნაში, მათ მოკალაქეობივთ თუ მეცნიერულ ჩამოყალიბებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დედას — მშობელსა და აღმზრდელს.

რევაზ და თამაზ გამყრელიძეების დედა ოლიმპიადა ასათიანი-გამყრელიძისა გახლავთ.

ქალბატონი ოლიმპიადა დიმიდა ქუთათისში. იქ მიიღო საშუალო განათლება და 1923 წლიდან თბილისში ცხოვრობს. შემდეგ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, სამი წელიწადი პედაგოგიკა იმუშავა, ხოლო გათხოვების შემდეგ, მიიღო ცოდნა და ეწერგია შეიღების აღზრდას მოახზარა.

მეოთხსინოთ და მიემაოთ ქალბატონი ოლიმპიადას:

„მეცადი, რომ შეიღებს ბავშვობიდანვე შეესწავლა ენები, მუსიკა, ორივე ბავშვის დაბამთავრების თბილისის კონსერვატორიასთან არსებულ მუსიკალურ აღმზრდად. უფროსი ვაჟი რევაზი თბილისის კონსერვატორიაში სწავლობდა პირველ კურსზე, მეორე, რატომღაც უკვდა შეიცვალა პროფესია და მოსკოვის უნივერსიტეტში მათემატიკის ფაკულტეტზე გადავიდა. ბავშვების აღზრდაში ამოსავალ წერტილად მიიჩნედა, და ახლაც მიიჩნევა წესრიგის, სიმკაცრის, პასუხისმგებლობის, მომთხოვნელობის გამომუშავება. სისტემაურად გამოწმხმბდი, თუ რაოორ მეცადინეობდენ და იყვნებდენ თავისუფალ დროს,

რით ეწეობოდნენ, ვისთან მეგობრობდენ.

ხის ვუნყობი ბავშვების სპორტულ მისწრაფებებს, ეს იყო კალაბორთი, ცურვა, თუ ჩოგბურთი.“

ქალბატონი ოლიმპიადა მიიღო თავისი არსებობა, ენერჯითა და თავდაუზოგავი დედური სიყვარულით ევლებოდა თავს შვილებს. თამაზ რეზო მოსკოვში, ხოლო თამაზ ლინგვისტადმი, ასპირანტურაში სწავლობდენ, ომისშემდგომი მძიმე პერიოდი იყო და თვეობით მიხდებოდა ამ ქალბატონს ცხოვრება, რათა შვილებისათვის ხელი შეეწყო და სწავლისა და მუშაობის პირობები შეემქმნა. ახლაც სიახლოვნებით ვიგონებ იმ წლებს, როცა მატერიალური გაჭირვების მიუხედავად (ხანდახან კარტოფილიც იცო თბილისიდან მიმქმნდა). ბავშვები დაულაღვად, ენერჯიულად შრომობდენ და ოპტიმისტურად განწყობილი, არასოდეს გამოსტყავდნენ საყვარელს მძიმე ცხოვრებაზე, არასოდეს საყვარელებითა უსჯავფქმლო მოთხოვნებ.“

ქალბატონი ოლიმპიადას მხარში ედგა მეუღლე, ერუდირებული, განსწავლული პიროვნება — ვალერიანი გამყრელიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორი.

ბატონი ვალერიანი ქუთათისელი ადვოკატის სამსონ გამყრელიძის ტრადიციული ოჯახის შთამომავალია. მისი შვილები რევაზ და თამაზ გამყრელიძეებიც ქუთათისში დაიბადნენ. შემდეგ ოჯახი თბილისში გადასვლად საცხოვრებლად და შვილები გერმანულ საბავშვო ბაღში მიიბარეს. შემდეგ — გერმანულ ათნელეში, რომელიც ომისწინა წლებში დაიხსნა.

მიუხედავად ბატონი ვალერიანი გამყრელიძის:

„ — პედაგოგი არა ვარ, მაგრამ ჩემი უპირველესი ამოცანა იყო ჯეროვანი აღზრდა-განათლება მიმცხა შვილებისათვის. ყოველთვის მახსენდებოდა გამოჩენილი ქართველი პედაგოგის გაიორ რექტორის შეფარება: „განამდიდერ შეიღენი მეცნიერებოთა, რათა იყვნენ სასარგებლო სიცოცხლის მათინ.“

ხოლო წლის ასაკიდან დაიწყო ბავშვებისათვის ენების შესწავლა, რამაც მალე გამოიღო ნაყოფი — მშობლიურთან ერთად რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზეც თავისუფლად ვლობდენ, მასწავლებლები განცვიფრებული იყვნენ მათი წარმტყობებით.

ასევე დიდ ყურადღებას ეუთმობდენი შვილების სპორტულ ცხოვრებას. რეზო დიდებული მოცურავე გახდა, თამაზი ჩოგბურთის შეჯიბრებებში მონაწილეობდა.

ყოველთვის ვეძიებო, რომ კონცერტი მუშაობს და სპორტი განყოფილი კომპონენტებია. მეცნიერი-მუშაკი უნდა ცდილობდეს თანაბრად შეაბავსის ფიზიკულტურა და მეცადინეობა.“

რევაზ და თამაზ გამყრელიძეები ბრუნდამხვევ წარმატებებს აღწევენ მეცნიერებაში.

ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში, უმცროსმა შვილმა თამაზმა საშუალო სკოლის უკანასკნელი ორი კლასის საგნები ერთ წელიწადში ეცსტერნად ჩააბარა. შემდეგ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ასპირანტურა — ლინგვისტადმი, დაიცვა დისერტაცია, გამოაქვეყნა შრომები ხეთოლოგიასა და ქართველოლოგიაში.

1984 წელს პროფესორი ივანეშვილი თანაგებობითი გამოსვლაში ორტომიანმა კაპიტალურმა შრომამ „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ თამაზ გამყრელიძეს დიდი პოპულარობა მიუტყდა. 1988 წელს ავტორებს ლენინური პრემია მიენიჭათ და ნიგინ ინგლისურ და გერმანულ ენებზე ითარგმნა.

სამაჟია ქართველი ერისათვის, რომ თამაზ გამყრელიძე ამერიკის ბრიტანეთის ავსტორის სამეცნიერო აკადემიის წევრია; ევროპის ლინგვისტთა ასოციაციის პრეზიდენტი, საზღვარგარეთის რიგ სამეცნიერო საზოგადოებათა სასტუმრო წევრია, საკავშირო ყურნალ „ეკოპოსი იაიხუკნანაის“ მთავარი რედაქტორია, დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობის ორდენით.

35 წლის რევაზ გამყრელიძე ლენინური პრემიის ლაურეატი გახდა. უფრო მოგვიანებით იგი გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის ანდრია რაზმაძის შრომია მიენიჭა.

ამყვად რევაზი მოსკოვში ცხოვრობს და მუშაობს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტის (სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი) მცოდნეობის გამგეა. არის საკავშირო ყურნალ „მათემატიკის“ მთავარი რედაქტორი, ავტორი მთელი რიგი კაპიტალური შრომების ქართულ, რუსულ და რამდენიმე უცხოურ ენაზე ტოპოლოგიასა და ოპტიმალური პროცესების მათემატიკურ თეორიაში.

სამეცნიერო მუშაობის გარდა, იგი ფართო საგამომცემლო მუშაობას ეწევა — არის ინგლისური და გერმანულ ენებზე საზღვარგარეთ გამოშვება სბჭოთა (მათ შორის ქართველ მათემატიკოსთა) შრომების მთავარი რედაქტორი.

რევაზ გამყრელიძე ამავე დროს ითვლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოპტიმალური პროცესების თეორიის კათედრის გამგედ და მონაწილეობს ქართველ მათემატიკოსთა კადრების აღზრდაში.

რევაზ და თამაზ გამყრელიძეები — მრავალი შვილის ტოლფასი არიან.

ასეთი ტიტულოვანი შვილების მშობლები ბევრი არა ვგავს.

რა საკავშირო გერქვას დედა მსოფლიოში აღიარებულ შვილთა!



## სიცოცხლის წყარო

შენი გზა მზესთან, მთვარესთან მიდის,  
შენს ნატურფალში ყვეელი ხარობს.  
ამ დედამიწის ხარ მებამრიდი  
და დაუმშრალი სიცოცხლის წყარო.  
დედაც, შენს გვერდით უკლებლოდ დგანან  
ცისკარს რამდენიც მოსწყდება სხივი.  
ეგ აკენის რწევა და იუნანა  
მილიონების ნატურაში ლევიც.  
დააღწობს ფოლადს მაც შენი თვალის  
მზერა შუქივით ცას მინაშენი.  
მჯერა, კერიდან ასული კვამლიც,  
კვამლი კი არა, სუნთქვაა შენი.  
შენი ბაჯალლო რძის ერთი ნვეთიც  
არის მშვიდობის დამპურებელი,  
მიტომ არ ტკნება ფესვი სიკეთის,  
მუდამ ახალი და უძლეველი.  
ძვლებსაც მიტომაც შეენის ჭახანი,  
კერას — სითბო და გულებს — ფერება,  
იქ სიცოცხლეა, სად დგას აკვანი,  
სადაც არა დგას — გადაშენება.  
რაც ვარსკვლავია, სულ შინ შუმოდის,  
მომავლის ვარდებს ღიმილით ნამაც.  
ნურც დალეულა საქართველოში  
აკენების რწევა და იუნანა.  
თუ საქართველო ნამდვილად გიყვარს  
და გსურს გადურჩე მომავლის წყევლას,  
მამ, გამაგონე დედური სიტყვა,  
იუნანა და აკენების რწევა.  
დედაც, მუდამ რომ ლოცვამ ატან,  
ცა რომ იხსნება და იმარჯნება,  
ეს გაუმარჯოს შენს პირველ ნატურას:  
პირმოს, სამშობლოს რომ ეახერება!

მუხღვინი ჩემს სახვარულ  
პოემტ ქალმებს სარგამარტოდ:

## სულაც არ მიკვირს

წრფელი სალაში სიტყვის ოსტატებს,  
ალაღებთ წმინდა გულის ყველილებს...  
ცას ვარსკვლავების შუქი მოსტაკით.  
დედამიწაზე აყვავილიეთ.  
იმედით ივსებთ რწმენის ნაბზართა,  
როს შთაგონების ალი გედებათ;  
თქვენც ქართლის დედის ძუძუმ დგზარდათ  
ქართული ლექსის გუთნისდედებად.  
მზევა თაკარა გარეთ, მზევა შინ  
და საოცნებო ფეოქავს სამყარო...  
სულაც არ მიკვირს — პოეზიაში  
მატრიარქატი რომ დაამყაროთ.

აბაბი თევეხამე



ელს, იანვარში შეგამდა  
კონკურსის „თანამედრო-  
ვეობა და თეატრი“ შედე-  
გები. საქართველოს თეატრის მოღ-  
ვაწეთა კავშირის სამდენვმ დაამ-  
ტკიცა ყოველწლიური კონკურსის  
შედეგის დადგენილება და სეწო-  
ნის სასუქეთესო ნამუშევრებისათვის  
თეატრალურ მოღვაწეებს მიანიჭა  
პრემია — თითოეულს 200 მანე-  
თის ოდენობით. ესენი არიან: რე-  
ჟისორი მედვა კუჭუხიძე, თეატრ-  
მცოდნე ნალია შალუტაშვილი, მსა-  
ხიობები გურანდა გაბუნია და ქე-  
თევან კიკნაძე.

ვულცავთ მათ ამ გამარჯვებას  
და ვუსურვებთ შემდგომ წარმატე-  
ბებს.



თეატრმცოდნე ნალია შალუ-  
ტაშვილს პრემია მიენიჭა წერი-  
ლისათვის „ცხოვრება მარტვიც  
და რთულიც“, რომელიც გამო-  
ქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში“  
1987 წ. 21 დეკემბერს.



რეისორ მელა კუჭუბიძეს  
პრემია მიენიჭა კ. შარჭანიშვილის  
სახელობის სახელმწიფო აკადემიური  
თეატრში ა. აფინოგენოვის  
„შიშის“ დადგმისათვის.

მსახიობ ქეთევან კიკნაძეს პრემია მიენიჭა რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლში „ელენე სერგეევნა, ძვირფასო“, ელენე სერგეევნას როლის შესრულებისათვის.



# პრემია!



მსახიობ გურანდა გაბუნიას პრემია მიენიჭა კ. შარჭანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლში „შიში“, კლარას როლის შესრულებისათვის.

# რომ ეკვსება?

ფაბრიკის კიბეზე ამავალი ქალის ხანამ შეხებოდა:

— უკაცრავად... ერთი წუთით, თუ შეიძლება!

ქვემოდას შეხანსაგადაცილებული ქალი ამობოლო.

— ნინო, — ხელი გამოიმწოდა, — თქვენთან რედაქციაში ვამირბედი მოსვლას, მაგრამ, როგორღაც თავი ვერ მოვაბი... არადა, საქმე ვეღარ ითმენს.

ნინო ღელავდა, ძალზე ღელავდა. არა, ჩემს გამო კი არ გაუწუხებთ, მე კარგა ხანია ჩამოწერილი ვარ, — სცადა გახუმრება, — ისე კი, აქ 18 წლისა მოვიდი და ჩემი ახალგაზრდობა, ძალა, ღონე და თუ რაიმე კარგი გამიჩნდა, ამ კვლავსა და დღევ. არც ქოლნი მაქვს, არც ქება, ჩემი სურათი სულ სტენდზე იყო გამარჯვებულთა შორის, და მეც, რაც მეტს მაქვებდნენ, თავს არ ვიზოვავდი, გამარჯვებულ ვამარჯვებებზე ვიწერილი და ამასობაში მთავარი გვიმაგანზე დამარჩენია... რომ ვახეხათ ის ჩემი პირველი, სტენდზე გაჩუქებული სურათი და დღევანდელიც, დიანახავთ, როგორ, დავამარცხებულვარ! — არც ქმარი, არც შვილი, არც ძირი... რომ იცოდეთ, რა მწვევედ განვიციდი ყოველივე ამას! ახლა კიდევ უფრო გამიხალდა გულსტეკილი, როცა ვხედავ როგორი ახალგაზრდობა წამოვიდა, რა თავდადებით, როგორ გონივრულად იბრძვის თავისი დედამამშობლოს მომავლის, მისი სახელისა და ღირსებისათვის, მისი უფლებების, დედებისა თუ მრავალჯგუზის დარბაჯული დიდებული ისტორიული ძეგლების დასაცავად. გულს მიკაწარხს ფიჭვი, რომ მათ შორის არ არიან ჩემი შვილებიც, წუხილი, რატომ მათთან ერთად არ უნდა განაგრძობდნენ. ამრავლებდნენ და ამლიერებდნენ ჩემი სათავეები საქართველოს სიცოცხლეს...

და იცით, რამდენია აქ ჩემისთანა? ახლა სხვა ფაბრიკა-ქარხნებში და სხვაგან და სხვაგან? გავა ორბოდე წელიც და ჩემი დამსახურებული პენსიით, ჩემს ოთახში მარტომარტო გამოკეტილი ასე. სიცოცხლის ბოლომდე, ბოლომდე... არა, ჩემსა და ჩემი თანაკრებულის საქმეს კი აღარაფერი ეშველება. მაგრამ, რომ ვუკუურებ ახალგაზრდებს — ჩემს

თვალწინ ჩემი ახალგაზრდული ცხოვრება რომ მეორდება, გული მეწურობდა. ბოლოს ხომ, ჩემი არ იყოს, ისინიც ასე უმომავლო და უშვილოდინი უნდა დარჩნენ.

— რა იცით, იქნებ...

— თავიანთ ბედს ვეიონ? მეტი არ არის ჩემი მეტრიც გაართვასახედად რომ ვერ იცლიან? დღედაღამს რომ აქ ასწორებენ? აქ კი ზოგი ცოლშვილიანია, ზოგს ქალის შერთვას ვერ ვააგონებ — ხან უბინობას იმიზეზებენ, ხან —, რას.

ხანდახან იმასაც კი ვფიქრობ: ვთქვით, ვერ ვაფთხობდი, ოჯახი ვერ შევიქმენი, მაგრამ რატომ ვერ შევიქმენი ვადამეღობა საზოგადოებრივი აზრის ბარიერი, რომ ოჯახის თუ არა, დღდობის ბედნიერებას მაინც ვიიარსებობდი? დიდი გაჭირვებით, მაგრამ როგორღაც ერთ შვილს ხომ ვაგზრდობდი... ანდა, თუ უწყესი და უხეირო არა ხარ და არც ოჯახს არავის უნერგებ; რატომ უნდა იყოს გადასაცხი შენი საერთო თავგანწირვა?

არსებობს კიდევ ერთი გადაულახავი ზღუდე: ვთქვით, საკუთარი ბინა არა გაქვს და გელირსა ბედნიერება, მაგრამ ვაფთხობდი შესასვით უბინაო მუშაზე. ქალელების საერთო საცხოვრებელში ქმარს ვერ მიიყვან, მამაკაცებისაში — ცოლს. გავიგეთ, თქვენთან შემოსულა განცხადება: ერთი ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის გაყმა რომ მეორე ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის ქალიშვილი შერთო ცოლად. ამხანაგებმა გოგონას ოთახი დღუთმეს და სხვებს შეეხიზნენ, თქვენც გიბრძოლიათ, მაგრამ დირექცია სასტიკი წინააღმდეგი წასულა და როგორ დამთავრდა ეს საქმე, კარგად მოგეხსენებათ. ეგებ, ვინემ თქვას: რა ექნათ ახლა, ერთი ოჯახი თუ კიდევ დაინგრაო, მაგრამ ერთული ოჯახებისგან შედგება ერთი, და თუ ვერ გავუფრთხილებთ, ხომ საპირიეთი ხელზე შემოგველია!

ახლა მუშა დედების მდგომარეობა? — 8 საათი ქალი რომ წარმოებაში ვაბარებენ — ხან ოპის ცვლაში მუშობენ, მოვითხებენ დასუსტი მცირე შვილიანობისა თუ ბავშვების ყოფილურბრძანსათვის? სამტოთა ხელისუფლებდა, ემანსიპაციას რომ აუცილებლობლად მიიჩნევიდა, ასევე აუცილებლად თვლიდა იმ შრომითი თუ სა-

ყოფიასოვრები საკითხების მოგვირებასაც, რაც დაეხმარებოდა ქალს, საზოგადოებრივ საქმეშიც ევარგა, ოჯახშიც და დედობის მოვალეობაც ღირსეულად შეესრულებინა. მაგრამ, რა გამოვიდა? — მოხდა ის ნანატრი ემანსიპაცია? მივიღეთ მამაკაცებთან თანასწორი უფლებები? — მხოლოდ ნაწილობრივ, იურიდიულად, მაგრამ დანარჩენ პრობლემებს როგორ ვაართვას თავი?

იმას აღარ შეგახსენებთ, რამდენი ათასი ღირსეული ქალი გვეყავს, არც იმას, როგორია ქალის წვლილი ჩვენი ცხოვრების შექმნაში, — ავგარ, ამ ჩვენი ფაბრიკის მუშაობაც ხომ სანაყნევი ქალების მზარბაც გადადის, მაგრამ რა მსხვერპლის ფასად...

ახლა ისიც ვთქვით, ვინ როგორ ვაიგო და გამოიყენა საუკუნეობით ნაოცნებარი ემანსიპაცია? ქალების ერთი ნაწილი, რომელსაც დროე მებტი აქვს და შეიძლება, ტოლწესის ცოდნის ღონის ამღობებაში, საზოგადოებაში ღირსეული ადვალის დამეკიდრებაში ან შვილების საუკეთესოდ აღზრდაში კი არა, ნივთების შექმნაში შესიზრება და ის თავისი ერთი კინილა ბავშვიც (თუ კი ის ერთი მინაც ჰყავს), წესიერად ვერ გაუზრდია.

ზოგი ქალი კი, მამაკაცებს მამაკაცურ ქცევაში, სწავლაში და სივარების წევაში ეცხიბება და ამით თავსაც იწონებს, შეგვივლიათ დღისით — მზისით, სასწავლო და სამუშაო საათებში ქალაქის ყავახანებში? გინახავთ თამბაქოს ბოლით ჩამობნელებული დარბაჯებში სივარების წევით, ყავით თუ სხვა სასმელების სმით ვაბრუნებული ყმაწვილები და ქალიშვილები? ასეთმა ახალგაზრდებმა იოჯიბე რომ შექმნან, ხომ ვიცით, რა მძიმე იქნება მათი შთამომავლობის ბედი...

ოჯახი...  
საღდა ოჯახი! არის მხოლოდ საერთო ქერი, კვლეები, სამუშაოდან დაბრუნებები, დაღლილი ქალის მიერ წინა ღამით სხვაგვარად გამაზღვებული საუზმე. საღილი და ვახშამი, ოჯახი, სადაც ოჯახის წევრები ვერც კი ხვდებიან ერთმანეთს და არც იციან, ვის რა აწუხებს, რა უხარია,



# მოკხველა ლაქსები

## დღევანდელ იყავ, სამყარო!

წამომპართე შენს ქარაფებს, მხარეც, მართლაც ზღაპარი, შევთხოვე ერთს და მეტს არაფერს. შენგარ ჯერ არ გამყარო. ლურჯ ტალღებზე დამასვენე. როგორც თეთრი აფერე, ჩაგებუტებ და მის მერე შენი მზერით დავევრობი. არ გამიშვა თბილი ხელი, დავეყვო წალკარ სანახავს, მთესველი და მიწის მხენელი, ყველა, ყველა მანახე. შენგა რითი გამოვხატო, ლექსებს ცვარად ვაპყურებ, სილაშხის თეთრი ხატო, კაშკაშა მკვს ვაყუყურებო. დაგილოცავ მაგ ნათელ ფერს, დღევანდელ იყავ, სამყარო! შევთხოვე ერთს და მეტს არაფერს, შენგარ ჯერ არ გამყარო.

ლალი კარნახალიძე

## ენძელა

მადლა ქანია დაღმლიო, ვუხსპირას კედელს მიჰყვარია. ენძელა ახლად გაშლილი შიხა უღერხუხებს ფიქრისან. შენ ყინვას როგორ უძლებდი, მადლა კოშკში რომ იძინებ?! ფირსუხფირს ფურცლები, მოუხუტია სიცოცხეს. შემოვიარე ბოლს კიდე, ყვავილები გული უმცდრაო. მომხიბლა შენმა სიწმინდემ და სიფრთხილამ ფურცელმა. წყარო ჭუხუხიბო გაებება, შენამდღ ბევრი უფლია. მზეო, ამალი, ენძელას შენი ლეჩხა სწყურია.

მარო ვაშაპიძე

სად დადის, რას იკეთებს?... რა უნდა ისწავლოს ასეთ ოჯახში ყმაწვილმა, ან სად სკოლა მისთვის დედას, რომელსაც მეორე სამუშაო დღე შინ ხვდება?...

ქალის სამუშაო ადგილი რომ მაინც შეეფერებოდეს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს! განა საფარგაშო არ არის, რომ მუშაკა-ქარხნებში, წარმებებში თუ მეურნეობებში მეტწილად ჯერ კიდევ არის ქალისთვის შეუფერებელი მძიმე ხელით შრომა. ბუნებრივი მხაფიერი, მტვერი, ნესტი, ნორმაზე მაღალი თუ დაბალი ტემპერატურა? ზერებში, პლასტიკებში, ბალებში, ბოსტნებში, სათურებში კი უმხამ-ქამიკატების „უბე“ და უმეცარი გამოყენება... და შედეგად ხომ არ აყვავებს: თურმე, პირველ ადგილზე ერთ ბავშვთა სიკვდილიანობისა და ანკოლოგიური დაავადებების მხრივ... ჩველ ბავშვთა სახლებში სიარული მატულობს ღვთისა და მშობლებისაგან მოძულებული, უბედური ბავშვების რიცხვი და ყოველთვის ამას დავეუმატოთ ყმაწვილთა შორის ნარკომანია, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის დანაშაულობანი.

ყველაფერი ეს საერთო-საკაცობრიო სატკივარიო, ვამბობთ ხოლმე თავის დასამშვიდებლად, მაგრამ ყველა ექვს კიდევ თავისი ტკივილისათვის საპირო მაღამოს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია თუ განსაკუთრებით შეეხო ქალის ბედს, დღევანდელი რევოლუციური გარდაქმნის ვითარებაში დღის წესრიგში ისევ და ისევ ქალთა საკითხი დგას. ისევ ქალის შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები მოითხოვს ძირეულ გარდაქმნას, მაგრამ რა მიმართულებით?

ყველამ ვიცით, როგორც ყურადღება ექცევა ახალგაზრდა ოჯახებს, მათი საბინაო და საარსებო პირობების გაუმჯობესებას. ამასწინათ თბილისში, დიდ დიღომში, აშენდა 170-ბინიანი კოოპუსი, გეგმაშია კვლავ აშენდეს ასეთი კოოპუსები, და, საერთოდ, ყველა მიკრორაიონი განაწინანდეს ახალგაზრდა ოჯახების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. მეტი ყურადღება ეთმობა საოჯახო საერთო საცხოვრებლების მშენებლობას სტუდენტებისა და მუშებისათვის, აგრეთვე დედათა და ბავშვთა კეთილდღობის უზრუნველყოფა დაწესებულებების მომარაგებას. უამრავი სიახლე ინერჯება დღევანდელ გარდაქმნასთან დაკავშირებით. რუსთაველის საზოგადოებასთანაც (რამდენადაც ვიცით, ამაში თქვენს რედაქციასაც უღევს წილი) შეიქმნა დემოკრატიული ფონდი. იქმნება სხვადასხვა სახის კოოპერა-

ტივები ბავშვთა სახლებისა თუ მრავალწლიანი ოჯახების დასახმარებლად... და მიინც, როგორც არასდროს, ჩვენი ცხოვრების დღის წესრიგში დგას უმთავრესი საკითხი — ქალის, დედის სამუშაო დროის ბიუჯეტის მოწესრიგება.

და აი, მივადექით პრობლემას, რომელიც საჯარო განხილვას, სიცილოვების, ეკონომისტების, წარმოებათა ხელმძღვანელებისა და ერთობლივ ქვეყნისა და ოჯახის გულშემატკივართა განსახველად გამოტანას მოითხოვს.

რით და როგორ დავგზნებოთ ქალს?

ჩვენ ვიცით, რომ ზოგ საწარმოში დაინერგა მცირევი გრაფიკი, ზოგან ქალების შინ დასაქმება... მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეული წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელების ინიციატივით ხდება და ამ ექსპერიმენტის შესწავლა და გავრცელება ვერ მოხერხდა, ერთი მხრივ წარმოებისა და მეორე მხრივ — თვით მუშა ქალის მიზეზით: წარმოებას მუშაობის გართულების ეშინია, ხელო მომუშავე ქალს — ხელფასის განახევრებისა.

მაგრამ მოდიოთ, ვიფიქროთ:

აბაბთ, ბევრი დამეთხნებთა, რომ გრაფიკით დადგენილი 8-საათიანი სამუშაო დღიდან პირველი 4 საათია განსაკუთრებით პროდუქტიული, ასე რომ, ორად დადანაშაულებული 8-საათიანი სამუშაო დღე შეიძლება წამდგინი არც აღმოჩნდეს.

რაც შეეხება ქალის შრომის ანხალაუტებას: განა ნებისმიერი საწარმო თუ საკურონალო გეგმის შესრულებისთვის გაწეულ შრომაზე ნაკლები სოციალური ფუნქცია აკისრია ქალის თავის სამუშაო ადგილას, ოჯახში? რომელი საქმე შეადრება ბავშვის შობას, მოვლა-აღზრდას, ბავშვის საწოლთან დამეების თვებს? დედა ხომ ერის სიცოცხლეს ზრდის, მის იმედს და მომავალს და, მამასადამე, სახელმწიფო დაინტერესებულთა უნდა იყოს, რომ იგი მატერიალურად არ დაზარალდეს, შეძლოს ღირებულად გაართვას თავი ბუნებისა და ქვეყნის მიერ დაკისრებულ მოვალეობას, თორემ „ეიკოლოგიაო“ რომ გავიძინებთ, ეკოლოგიური საშიშროება მონაგონი იქნება იმასთან შედარებით, რაც გვემუქრება, თუ ქალს, დედას ვერ ვუშველეთ, ოჯახს, სიცოცხლეს ვერ ვუშველეთ, ბავშვებს ვერ ვუშველეთ.

ნინო დამემშვიდობა და თავის საამქროს მიაშურა.

# დიდგნობნელოპანი პროპული დოკუმენტი

ქართული ენის კუთვნილ უფლებებში აღდგენა თითქმის ორი საუკუნეა აუხდენელ ოცენად რჩებოდა. ამ მხრივ ბევრი გაკეთდა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, მაგრამ რესპუბლიკის სახელმწიფო ენის უფლებები მაინც ილახებოდა და ზოგიერთ მრავალფეროვან რეგიონში იგი ზედმეტად კი შეიქმნა. როგორც ეთნოგრაფს, მაქვს სამწუხარო ფაქტები: ბოლნისის, დმანისის, მარნეულის, წალკისა და ახალქალაქის რაიონებში ქართულ ენას თვით ზოგიერთ ქართველიც ვეღარ ფლობს. აღარას ვამბობ ქალაქებში მცხოვრებ „ზედმეტად კულტურულ“ ვაიქართველებზე, რომელთაც საკუთარი ოჯახებიდან დედაენა განდევნეს და სხვათა ენაზე მეტყველებენ.

ახეთ ვიოარბაში, სრულიად ბუნებრივია, ჩვენთან მცხოვრები არაქართველოვანი მოსახლეობა რესპუბლიკის სახელმწიფო ენის შესწავლას არაფერად დაგიდევთ. დღესაც, დედაქალაქშიც კი, ზოგიერთ სამინისტროსა და წარმოება-დაწესებულებებში სხედან ტექნიკური მდივნები, რომლებიც სხვათა გასაღიზიანებლად ქართულად არ მეტყველებენ და

ამით თავსაც იწონებენ, როგორც წესი, მოხულსაც აიძულებენ დედაენაზე არ ილაპარაკოს...

ამრიგად, სრულიად კანონზომიერია ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის გამოკვეყნება, რომელსაც საჭარო განხილვის შემდეგ კანონის ძალა მიეცემა. განსაკუთრებული დოკუმენტი სრულფასოვნად არის შედგენილი და ძირითადად მოწონებას იმსახურებს, ოღონდ ჩემის აზრით, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზაციისა და კოორდინაციის ფუნქცია რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტისა და საქართველოს მშენებელთა კავშირის გამგეობასთან ერთად მეცნიერებათა აკადემიასაც უნდა დაეკისროს. უფრო მეტიც, მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისმა ინსტიტუტებმა ადგილებზე საგანგებოდ უნდა გამოიკლიონ და მეცნიერულად დაადგინონ რესპუბლიკის თითოეულ რაიონში რამდგომარეობაშია დღეს ქართული ენა. ერთი რამ ცხადია: მან რესპუბლიკის საზღვრებში სახელმწიფო ენის ფუნქცია რომ შეასრულოს, დიდი ძალისხმევა და მუშაობა საჭი-

რო. აქ დაუშვებელია აჩქარება. ამომწურავად უნდა გავითვალისწინოთ წარსულის მწარე გამოცდილება და, რაც მთავარია, არავითარ შემთხვევაში შეცდომები არ უნდა დაეუშვათ. გამორიცხულია აღმინისტრირება, მხოლოდ მეცნიერულად სრულყოფილ აზრს და მეთოდებს უნდა მივიტყვას გასაქანი, თითოეული რაიონის სინამდვილის ამომწურავი გათვალისწინებით.

ქართული ენა თავის უფლებებში ვერ აღდგება, თუ ასეთივე პროგრამა საქართველოს ისტორიისათვისაც არ დაისხება. ცხადია, „საქართველოს ისტორიის“ რედაქციის ფარგლებში ეს საკითხი ვერ გადაწყდება. აუცილებელია უფრო ფართო მასშტაბის აზროვნება. ვნახოთ, რას შემოგვთავაზებენ საქართველოს ისტორიის პროგრამის შემდგენლები. საქართველოს ისტორიის პროგრამის პროექტის საჯარო განხილვა დიდად შეუწყობს ხელს ქართული ენის სახელმწიფოებრივი უფლებების პრაქტიკულ განხორციელებას.

ლევან ფრუიძე,  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

## ქალთა საბჭოს პრეზიდენტის სსლოვაკიაში

ჩატარდა რესპუბლიკისა და თბილისის ქალთა საბჭოების პრეზიდენტების გაფართოებული სსლოვაკიაში, რომელმაც განიხილა საორგანიზაციო და მიმდინარე საკითხები.

რესპუბლიკის ქალთა საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს ზინაიდა კვაჭაძე.

რესპუბლიკის ქალთა საბჭომ სსრკავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში თავიანთი დეპუტატობის კანდიდატურად წამოაყენეს ფილოლო-

გიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გუჩა კვარაცხელია და სსრკავშირის სახალხო არტისტი ლიანა ისიკაძე.

შეკრებილებმა მოუხმინეს გუჩა კვარაცხელიას, რომელმაც მათ გააცნო თავისი პროგრამა.

ქალთა საერთაშორისო დღისთვის მზადების საკითხებზე ისაუბრა ნინო ფვანიამ.

საკავშირო ქალთა კომიტეტმა და საკავშირო ფინანსთა შემსრულებლმა

ქალთა კომიტეტების მუშაობის გასაუმჯობესებლად შეიმუშავეს მნიშვნელოვანი ღონისძიება: გამოაქვეყნა სათანადო თანხა, იგი როგორც ხელფასის დანამტი მიეცემა მთ ქალებს, რომლებიც წლების მანძილზე უანგაროდ, საზოგადოებრივ საქმიანებაში მასშტაბურად დაწინაურდნენ ქალთა საბჭოებში.

ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა რესპუბლიკის ქალთა საბჭოს მდივანმა მადონა მგელაძემ.



# ლულუ დადიანი

ლექმბრის მიწურულს ახალგაზრდა მხატვართა კლუბ „ფიროსმანში“ გაიმართა ლულუ დადიანის პირველი პერსონალური გამოფენა. აქ გამოტანილი ნამუშევრები მხატვრის ინტერესთა სფეროს მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენდა. პროფესიონალები და ფერწერის მოყვარულები მის შემოქმედებას ჯერ კიდევ 1928 წელს, რესპუბლიკურ გამოფენაში მონაწილეობისას გაეცნენ. მას აქვთ ლ. დადიანი მონაწილეობის რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებში. 1979 წლიდან იგი სსრკ მხატვართა კავშირის წევრია; წლების მანძილზე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა პიონერულ და მოსწავლეთა სასახლის ხატვისა და ფერწერის კაბინეტში, დიდი ინტერესით მუშაობს წიგნის ილუსტრაციაზე; დასურათა ჩარა გელაშვილის რომანი „ღედის თოხი, მოთხრობა „სერისო“. მალე დაისტამბება ნოვალის ნაწარმოები „პიანის ფონ ოფტერდინგის“.

ეს გამოფენა ხელვანის ეფუძლუდავი ენერჯისა და თვდადებული შრომის შედეგია. საგაოფუნო დარბაზის თაღვანი, მუდურად და სხაიმოვნო ინტერირი შესანიშნავად ერწყმის ლ. დადიანის ფერწერას და იდუმალეხისა და ფერების სამყაროში გადაყვარობს. მხატვარს სურს, ღრმად ჩასვლდეს ბუნების საილუმოელებს, მასში არსებულ წინააღმდეგობებს, ადამიანისა და სამყაროს დაპირაფუძლებებს (კომპოზიციები სერიოდან „სწეული ბუნება“, „ხანკის ქალბები“). თავად თემატიკა, რომელიც რეალობიდან, ინტერეტებიდან მომდინარეობს, ინტუიციის, გრამოზიერების სფეროში გადადის.

განწყობილების შემეხმის თეავარი ფუნქცია ფერს აქვს. ის ყოველივის დიდი დინამიკით მუშაობს. ზოგჯერ მისტიკური, რიტადურ სამყაროში გადაყვარობს („ბარჯის მუღაბნოენი“, „განდეგობები“, „ღამის კომპოზიცია“, „ნაირას პორტრეტი“),

ზოგჯერ კი ცხოვრების დაუოკებელი რიტმით გამოწვეულ ნერვულ კულმინაციას გადმოგვცემს („უსათაურო“, „იხილიონი“).

ლ. დადიანთან ფერს სიმპოლური მნიშვნელობაც აქვს, კომპოზიცია „უსათაუროში“ დიდი წითელი ლაქა თითქოს აუტანელ ყვირილის ხმას გადმოგვცემს, ქვედა მარჯვენა კუთხელი ვარდისფერი — სიმშვიდისა და სულიერი წონაწრობის განცდას გვიქმნის. ან კიდევ „განდეგობები“ — გავეირვებულ თეთრი, რომელიც ზანაღაკების წყურთადა ხმას მოგვაგონებს და სადაც სურათის სიღრმეში ნელ-ნელა ქრება. სანტერესილიდ არის გადაწყვეტილი „ნაირას პორტრეტი“. ნარინჯის და ლურჯი ფერებით შემქმნილი კომპოზიცია მისტიკური ხასიათის ატარებს. ეს შემოქმედი ქალის პორტრეტი, რომელსაც სხვისთვის უბილავი სამყარო აქვს. მხატვარი მიგვაინუნებს, რომ ხელვანში არის რაღაც იდუმალი, ღვითი მონიქებული.


ლ. დადიანის კომპოზიციის თანდაყოლილი გრძობა მის ნაწარმოებებს უფრო მეტყველს ხდის. ჩინებულად არის მოქმენილი კომპოზიცია „იხილიონი“, რომელიც ორმავი სპირალისაგან შედგება და ცხოვრების დუალიზმს გამოგვცემს.

„ოუბრის მანქანები“ ტრაპიკოია. კომპოზიცია სამი დამოუკიდებელი დასრულებული ნაწილისაგან შედგება და ამავე დროს მიღწეულია ამ ნაწილთა აბსოლუტური მთლიანობა. კომპოზიციაში მხატვარს შევეყვართ მარცხენა მხრიდან — თვალად იქცევაშ თეატრის მიტოვებულ რეკუზობს, ცივ ტონალობას, მკვირვ ფერაღვან ზედაპირს, თავისუფალ მონახმებს, რომლებიც ბერწავნე ფორმებს — ზოგან მოყულონიანსა და მკვირვს, სხვაგან კი ბაეროვანსა და გამვეირვებულს. კომპოზიცია ტრაპიკონის მარჯვენა ნაწილში თავდაბ მარჯვით სარკით, რომელიც კვლავ მარცხნივ არის შემოზრუნებული, რის გამოც იგი უბოგვარად წრიულია და შეკრული.


ძლიერი ემოციური დატვირთვა აქვს სურათის „გარჯის მუღაბნოენი“. ათინათებით აციმციმებული ლანდები სურათის სიღრმეში ინთქმებიან. წამოკრილია დროთა კავშირის პრობლემა. შენელებული რიტმით, დიდებული სიმშვიდით გვშორდებიან ლანდები და მომწვანო-ოქროსფერი უღანზოში იკარგებიან. უსუსველიდ ორღდება მანძილი ჩვენსა და ჩვენსავე ფესვებს, ჩვენს წარსულს შორის, მაგრამ მაყურებლისკენ სიკეთის იმედად სიღრმიდან მოედინება მანარდობებული წყარო. ამ ნამუშევარში მკავიოდ აგებული კომპოზიცია და ფერადობანი გადაწყვეტა სათანადო უტარადობასა და მეტყველობას ანიჭებს სურათს.

ბუნების ხელყოფის ერთგვარი პროტესტია მხატვრის ფერწერული სერია „სწეული ბუნება“. ამ სერიას მიეკუთვნება კომპოზიცია „თეგზი“. წინა პლანზე თეთრ სიბრტეზე შვიკ, ჩაყარებული, ჩონჩხად ქცეული თევზია, ხოლო ზედა კუთხეში ადამიანის თავი, რომელიც ფართოდ გახედილი თვალებით უყურებს ტექნიკის, ეპოქის შემზარავ მომაკენებულ გაგუნანს სიციცხლზე. მეორე კომპოზიციაში კი — დამსკლარი, გამოფიტული, დაღლილი მიწასვე დაღლილ და გამოფიტულ ატლანტებს უყრავთ.

ლულუ დადიანი ახალგაზრდა შემოქმედი. გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ მრავალმხრივი ძიებებისა და მხარბი ფერწერისა, რასაც მხატვრის სახე-სწილში შევხვდით. ლ. დადიანის შემოქმედების წყარო გარე სამყაროა, რომელსაც მხატვარი სულიერი პირი-მში ატარებს, თავისუფალიდ გაშტკავს და მისეული ფერწერული ენით გამოგვცემს. პირველი პერსონალური გამოფენა მხატვრის ერთგვარი ანგარიში იყო. მომავალში კი კვლავ ძიებები და რა თქმა უნდა, ახალი შემოქმედებითი წარმატებები ელის.



- კობეის ნიშანი
- თევზი, სერიიდან — „სწეული ბუნება“
- გულმოსუაღენი
- ცისარტყელა ქალაქში
- სახლი კიპარისებით
- კერპები
- შკედრის მზე











# უნგრეთის მიგრაცი- კონტრაქტი

ამ თბილ და მტკიცე მეგობრობას მოძველებული უნგრეთის მინა-წყლის იმ დაუფიქრებელი განმათვისებელი მძიმე ბრძოლებში ჩაეყარა საფუძველი.

...1944 წლის მინურულში საბჭოთა არმიის უკრაინის ფრონტების ჯარებმა ბუდაპეშტში ფაშისტ დამპყრობთა უდიდესი დაჯგუფება ცეცხლის რკალში მოაქციეს და კიდევ ერთი „სტალინგრადი“ განახორციელეს. ამ განმათვისებელი ბრძოლებში მონაწილეობდა ახალი იარაღის „კატუსების“ რეაქტიული დივიზიონი, რომელიც ბალატიონის ტიპის მახლობლად — სოფელ ალაპში შეჩერდა. დივიზიონის მებრძოლები თავიანთი რეაქტიული დანადგარებითა სოფლის მეცხოვრებას უჯახებში განლაგდნენ და გვარდიული დივიზიონის სახეიდრო კომისარია — გალაქტიონ პაიჭაძე, — სხვა ოფიცრებთან ერთად სოფლის სკოლის მასწავლებლის დივიზიონის ოჯახში დაბინავდა.

1945 წლის იანვარში სოფელ ალაპის ირგვლივ პიტლერებმა მოულოდნელად სამკედრო-ასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღეს, რათა ჩვენი ალყა გაერვიათ და ბუდაპეშტში ფაშისტთა დაჯგუფებას შეერთებოდნენ. მტრის უპირისპირე ტანჯი სოფელ ალაპზე გავლით ბუდაპეშტისკენ მიისწრაფოდა. მოწინარის ოჯახმა, კერძოდ, მისმა პატარა ქალიშვილმა — მარგიტამ ეს ამბავი გალაქტიონ პაიჭაძეს შეატყობინა. ამან განსაზღვრა დივიზიონის საბრძოლო მომზადება, პირადი შემადგენლობის გადარჩენა და ამოცანის ღირსებულად შესრულება. პატარა მარგიტამ და მისმა ოჯახმა უდიდესი განსაცდელისაგან იხსნეს ჯარისკაცები.

გავიდა 40 წელიწადი იმ დაუფიქრებელი დღიდან. 1985 წლის მაისში, საბჭოთა დელეგაციასთან ერთად — მამარქში გალაქტიონ პაიჭაძე უნგრეთს გაემგზავრა,

სადაც შესაძლებელი გახდა მარგიტ მოწინარის მონახვა. მარგიტის მშობლები უკვე გარდაცვლილიყვნენ. თვითონ კი დოქტორ დუბეც-შანდორნეს გაყოლია ცოლად და დიდი ოჯახით ბუდაპეშტში ცხოვრობენ. მხოლოდ 40 წლის შემდეგ მოხდა გალაქტიონ პაიჭაძისა და მარგიტის ამაღლებული შეხვედრა საბჭოთა დელეგაციისა და უნგრელი მეგობრების თვალწინ.

1987 წლის აპრილში, უნგრეთის განათვისებლების დღესასწაულში მოწინარეობისათვის მამასთან ერთად წილად მხედა ბედნიერება გაემგზავრებულყავი მოძველებულ ქვეყანაში, სადაც კულთბილი შეხვედრები გავემართეს. საპასუხოდ ჩვენც დიდი სიამოვნებით მარგიტ დუბეც-შანდორნეს ოჯახი.

და აი, ჩვენი ძვირფასი მარგიტი თავის მეუღლესთან ერთად საქართველოშია. ჩვენმა სტუმრებმა დათავალოვრთ დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ მუხუხუხებში, დაესწრნენ რუსთაველის თეატრის სპექტაკლს, ეწვივნენ მცხეთასა და თელავს. მოიხიბლნენ ისტორიული ძეგლებით. მათ გულთბილი შეხვედრა

მოუწყეს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების სსრკ-უნგრეთის განყოფილებაში.

შთამბეჭდავი იყო ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციაში ქალბატონ მარგიტისა და მისი მეუღლის, ბუდაპეშტის ნამეფანი ქირურგის დოქტორ შანდორ დუბეცის სტუმრობა (მათ სამი შვილი და ექვსი შვილიშვილი ყვაეთ).

